

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტის სტატუსის აღდგენის მიზანშეწონილობამ.

##### ა. ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტის სტატუსის აღდგენა.

##### ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, 2010 წლის 1 მაისიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ჩატარდება მხოლოდ გამოთავისუფლებულ ადგილებზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიმდინარე ასიგნების ფარგლებში.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

##### ბ. ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

##### ბ. გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

##### ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

##### ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირობის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. 2010 წლის 1 მაისიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოთავისუფლებულ ადგილებზე არჩეული წევრ-კორესპონდენტები მიიღებენ კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურებას მიმდინარე დაფინანსების ფარგლებში.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი ასეთს არ ითვალისწინებს

### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე

გ. გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

### დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ. ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ

დ. ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ. გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ თოდუა